



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 3842

18/07/2018

3842-09-2-201807181720



*ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს*

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 4399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 27.04.51.274) და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ლესაში მდებარე 2609.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 1147.34 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.10.46.003), სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები. აღნიშნულის შესაბამისად, უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, მამუკა ვადაჭკორიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2018 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“ (ს/კ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩოლობარგში მდებარე 4399.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 27.04.51.274).

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულის, სოფელ ლესაში მდებარე 2609.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 1147.34 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.10.46.003).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 897
13/07/2018

897-09-3-201807131709



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების

მართვის სამსახურის უფროსის მამუკა ვადაჭკორიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,


მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“ (ს/ნ 233732565) უზუფრუქტის უფლებით უნდა გადაეცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩოლობარგსა და ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლესაში მდებარე უძრავი ქონებები (ს/კ-ები: 27.04.51.274 და 27.10.46.003).

აღნიშნულ უძრავ ქონებებზე უზუფრუქტის ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება.

გთხოვთ, დაავალოთ მერიის იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

პატივისცემით,

მამუკა ვადაჭკორია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური